პიტიონი

რექსიპონი

1911 წ.



[illegible]

# [illegible]

29418

[illegible]
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

[illegible]

[illegible] 1911-13 [illegible]

# სალექსიკონო მასალა

(შეკრებილი ეპისკოპოზ კირიონის მიერ).

### ა

**აბალე?**—აბა? [ქონლისა.

**აბარება**—სამენებლად აყვანა სა-

**აბდა-უბდა** რომვა უთავბოლოდ.

**აბნევა** ნემსის აგება.

**აბოეტი** ყეყეჩი.

**აბრაგანი** დახეთქება.

**აბრუ** სახელი, ნდობა.

**აგანგალა** საუმაწვილო თამაშო-
ბაა. დედას ამოირჩევენ, რო-
მელიც ქამრით უჩვენებს ცხო-
ველის, ან ფრინველის ზომას.
ვინც გამოიცნობს ქამრით გა-
მოუდგება სხვებს.

**ადესა** ყურძენია იზაბელა.

**ადიდებსი** ადიდებს სული ჩემის
თქმა (საეკ. წიგნ.).

**ადრაბაგი** ფანჯარა.

**ავარა** უბინაო, მოხეტიალე.

**ავტოკეფალია** თვით-მოთავე, და-
მოუკიდებელი ეკკლესია.

**აზართიანება** წაქეზება, აჯანყება.

**აზგამო** ძაღლის გაგდება შინიდან.

**აჲათა** ძაღლის გაგდება.

**აჲათება** აკვანში მწოლიარე ბავ-
შვისთვის ხელების ახსნა.

**ათეული**

**ათეშგაშა** საცეცხლე, მანგალი.

**აინინა** კერპი ქართველთა, რომე-
ლი აღმართა მეფემ საუმარგ-
მა (ქარ. ცხ. I, გვ. 33).

**აკიდო** მოჭრილი ტოტი ვაზისა
ორ მტევნიანი.

**აკონვა** კონათ შეკვრა.

**ალა-ალა**

**ალალი** ეტყვიან ბავშვს, როდე-
საც ლუკმა დაადგება ყელზედ.

**ალალი** ალი, რომელიც ბავშვებს
იტაცებდა. [დაწვა.

**ალანძვა** წვადის შეტრუსა, ალით

**ალაწოდა** მაღალი, ტანწვრილი.

**ალახი** დაღმართში ურმის შესამა-
გრებელი.

**ალეში** ანარჩევი ხილი.

**ალერსი** პერანგის ამხანაგი.

**ალიაა-ბალთა** უთავბოლოთ ლა-
პარაკი.

**ალილო** შობის დამის მილოცვა,
ხალხური ჰიმნი. [რე.

**ალჩუ** სათამაშო კოჭის მეოთხე მხა-

**ალხანა**

**ამალიკი** ქართველი ებრაელები
უწოდებენ სომხებს.

**ამირანი** ზღაპრული გმირი, რომელიც მიმჯვალულია კავკასიონის კლდეზედ.

**ამლაკი** ჭრელი ცხენი.

**ამოთაქვა** ამოვარდნა, ამოწყვეტა.

**ამოქაქანება** სულის მობრუნება, დასვენება.

**ამოყაჭვა** ამოღება ჯიბიდან

**ანა** არა.

**ანდრიაული** შავი ყურძენია.

**ანამ** მისათვლელი: ხუთ**ანამ**, ექვს**ანამ**, ათ**ანამ** და სხ.

**ანანი** არ არის.

**ანგალი** გასწორ-გასწორ მოსიარულე, თავქეიფა.

**აოდვა** სინესტისაგან ყანის გაშუშვა, გაშავება.

**აპაპაპა** არ იქნება, არ შეიძლება.

**აპა, აპაში წასვლა** გასეირნება, სტუმრად წასვლა.

**აპანტალა** აპრილის მონაგები, სიტყვა გადაკვრით — ნაბიჭვარი. აპრილი—აპანტალა.

**აპლაკვა** ფეხების აშვერა.

**არჟანი (არაჟანი)** რძე რომ მოიგდებს თეთრად ნაღების მოხდის შემდეგ.

**არმაზი** ქართველთა კერპი, აღმართული მეფე ფარნაოზისაგან, რომელიც იყო სპილენძისა; ეცვა ჯაჭვი ოქროსი და თავზედ ეხურა ჩაფხუტი ოქროსი, სამხრენი და თვალნი იყვნენ ზურმუხტისა და ბივრიტისა და ხელში ეპყრა ხმალი ელვარე და ბრწყინვალე (ქართ. ცხ. ნ. I, გვ. 32, 74).

**არტახი** ბავშვს რომ აკვანში ჩააწვენენ გადაუჭერენ ხოლმე.

**ასკიკუკუ** ხტუნვით თამაშობა, სირბილი.

**ასომთავრული** მსხვილი საეკლესიო ანბანი.

**ასფერულა** (Asperula) მცენარეა.

**Асперула** см. энц. слов.

**ატენური** ყურძენია.

**ატორლიალება** ადევნება.

**ატუ** ძაღლის დასევა.

**აფხაზური** ცეკვაობა; მწვადი.

**აფხატება** აცოცება კლდეზედ, კედელზედ.

**ალუ** ბავშვებს ეუბნებიან ალერსით.

**აყალო** ყვითელი მიწა.

**აყლაყუდა** მაღალი კაცი.

**აშენება ურმისა** ურმის გაკეთება.

**აჩია** ვირი.

**აჩუა** ცხენი.

**ახში** მაინც.

## ბ

**ბაბა** პური.

**ბადრი** ძმაა ზღაპრული ყარამანისა და უსუფისა.

**ბათლახი, ყარაბათლახი** ფრინველია.

**ბათქაში** არეული ქვიშა-კირით გამოლესვა.

**ბაიბანა** სოფლის განაპირა ადგილი.

**ბაკაკა** ბატკანი.

**ბალლი** ბავშვი.

**ბანდალი** აქა-იქ მივლა-მოვლა.

**ბანდუში** ბოძზედ დასადები ხის ნაჭერი სიმაღლის მოსამატებლად.

**ბარდაბარ, ბარიბარში** ქვით, სწორ და სწორ.

**ბარდა** მცენარე ცულის პირას მაგვარი.

**ბარდი** დიჭ-ხე-ბალახნარი.

**ბარიდ** კიკინი თხათა.

**ბარტყუნი** ფეხებით ბრახუნი.

**ბასმა** ბრძანების ქაღალდი.

**ბასილა** საახალწლოდ გამოცხობილი კაცის სახე (ფიგურა).

**ბატიბუტი** დახალული სიმინდი.

**ბატუა** დიდიდედა.

**ბაუა** ბავშვი.

**ბალარა** მცირე ტყე.

**ბალდადი** სამშობლო, მშვენიერი გაშლილი ადგილი ჭაერ-წყლით შემკული.

**ბალდადი** აბრეშუმის თავის მოსახვევი.

**ბაყბაყ დევი** ცხრა-თავიანი დევი.

**ბაყილო** გადასარგავი პატარა ხეხილი.

**ბაშაგი** უფლება დარიგთა დარჩენილ თავთავების შეკრებისა მომკის შემდეგ.

**ბაჩანა**

**ბაჩაჩა, ბაჩუა** დაბალი ტანის საქონელი.

**ბაცანკალი** თავ-ქვეშ დასადები ხის ნაჭერი.

**ბაწარი აილო**—როდესაც მილიდან გაბმულად არაყი დაიწყებს დენას.

**ბაჯაჯლანა** მაიმახი, უსახური, დაბალი ტანისა.

**ბაჯუჯა** ფეხებზედ ბუმბულ გამოსული ქათამი.

**ბელი-ბელი** ბევრი.

**ბერთხილა** ხე, რომელიც ისხამს თხილისავით ნაყოფს.

**ბერიკაობა** ყველიერში გადაიცმენ სხვადასხვა ცხოველების ტყავებს და თამაშობენ.

**ბერკეტი** დიდი კეტი.

**ბერყენა** გარეული პანტის გვარია.

**ბექი** კერპი, გაუტეხარი, შეუპოვარი.

**ბეჩავი** საბრალო, საწყალი.

**ბეცი** ახლოს კარგად ვერ მხედველი.

**ბეწეწინა** ერთი ბეწო.

**ბეხრეკი** დაბერებული, ძალა-გამოლეული.

**ბეჯითი** მუყაითი, მოცადინე.

**ბითუმი** როდესაც ხანი არა აქვს გაფიცრული, ან კედელს — კარფანჯარა (ყრუ კედელი), ან ერთიანათ გაყიდული.

**ბიკონი** კვარი.

**ბირკი, ბირკა** მცენარის ეკლიანი ბუძუნძლო, ტანისამოსს რომ ეკრობა.

**ბლანდვა** საპირისა და სარჩულის ერთად აბლანდვა შესაკერად.

**ბლითი** კვერი თეთრი პურისა,

**ბლონდი** ლეხაქი. [бубликъ.

**ბობოლა** ერდოში ჩამოკიდებული ნაცრით ამსილი პატარა პარკი, რომელსაც შვიდი ფთა ურჭვია და დიდმარხვის კვირებში თითო-თითოს გამოაძრობენ ხოლმე.

**ბობოლა** დიდი ვინმე. [დება.

**ბოგინება** ცხოვრება, ფეხის მოკი-

**ბოლოთრია** ბზე-თივის საზიდი მთის ურემი.

**ბორანი** წყალზედ გადასასვლელი გადაბმული ნავები.

**ბორძიკი** ცხენის სიარულის ნაკლულევანება.

**ბოჩი** ქართველთა კერპი.

**ბოხი** სქელი ხმა.

**ბოჯგი** დაბალი ბოძი.

**ბრაგვაჰი** ძირს დაცემა.

**ბრელო** ბუჩო, თივას რომ სცვივა.

**ბუა, ბუაი** ამ სიტყვებით ბავშვებს აშინებენ.

**ბუგანი** ადგილი, სადაც საქონელი ერთად დაეყრება ხოლმე.

**ბუდნა-ბუდნა** ჯგუფ-ჯგუფი.

**ბუერი** თეთრი ყურძენია

**ბუზულაკი** ბზიკი.

**ბუთქი** გადაკაფილ ხეზედ ამოსული ტოტები.

**ბუკნაჭოტი** პატარა ჭოტი.

**ბულაყი** პატარა წყარო.

**ბულბულა** ყვავილია, მთაში იცის.

**ბუნთურქნი** აწინდელი დიდოელები (ვახუშტ. გეოგრ. გვ. 326).

**ბურაო** ხის გასახვრეტი, ან პროპკის ამოსაძრობი.

**ბურაო სტაქანი** დიდი სტაქანი.

**ბურახი** სიმინდისგან ანუ ქერისგან გამოხდილი სასმელი.

**ბურსა** თოვლიანი ნისლი.

**ბურქოიანი დოში** შუაგულში გაფუჭებული, დამპალი.

**ბუტყუნა** ცხვირში მოლაპარაკე

**ბუყბუყი** მუცელში ხმაურობა, მცირე გვრემა.

**ბუჩო** ჩალაბულა.

**ბუძუნძლო** ნესვის ანუ კიტრის გული, რომელშიაც ახვევია თესლი.

**ბლინძვა** თავის მოტანა, ამრეზა.

**ბლლაძა ჩავიტანე** სისწრაფით ჩაველი.

## გ

**გაბნევა ნემსისა** ნემსის გაყრა, გამაგრება.

**გაგა** ძაღლის გარეთ გაგდება.

**გაგანი** ხმაურობა.

**გადაბირება** თავის მხარეზედ გა-

**გადაბუგვა** გადაწვა. [დაყვანა.

**გადალოცვა** ქორწილში ან ქელეხში ფულით შეწევნა.

**გადამცნილი** გადაგვარებული.

**გადაფუჩეჩება** უგულისყუროთ წაკითხვა, ფურცლების გადაშლა.

**გადალრძობილი** დროს გადასული, დასნეულებული.

**გადაყლურწვა** გადაკვრა.

**გადაშვლეპა** გადახდევინება, თავიდან ქუდის ახდა.

**გადაშხუილება** მათრახით ან სახრით გადაკვრა.

**გადაჭერა** მათრახით ან სახრით გადაკვრა.

**გადახუხვა** გადაკვრა, დალევა.

**გადღვრინული** ცხვირ - გაჭყლეტილი, ნესტოებ განიერი ცხვირი.

**გავარვარებული** ძალზედ გახურებული თონე.

**გაზვა, დაგაზვა** დაკაწვრა, ნადირთ ნაკბენი.

**გათავნიერება** თავნისა და მოგების გათანასწორება.

**გათეთრება საქმისა** გაკეთება, გაჩარხვა.

**გათვლა, გაითვალა** თავისი გამოიანგარიშა.

**გათრეულა** პირველი დღიური გუთნის გამართვის დროს, რომელიც გუთნის დედას ეკუთვნის.

**გათხლეშა** გარტყმა.

**გათხორვა** გაყვანვა წყლისა.

**გაიმ** ქართველთა კერპი ვერცხლისა, რომელი აღმართა აზომ. (ქართ. ცხოვ. I, 28).

**გაკრულვილი კაკალი** წენგო მოშორებული კაკალი.

**გალალვა** გარეკვა.

**გალახული ღვინო** გზისგან გატეხილი, ძალა - გამოლეული ღვინო.

**გალივლივება** წყალში გავლება სარეცხისა.

**გამარჯვებული დღიური** კარგი გუთნეულის დღიური.

**გამოჵზინება** პერანგის ამხანაგის ჩაძრობა.

**გამოკემსვა** გამონემსვა, გამოკერვა.

**გამოლასტული** მშიერი.

**გამომარყუშება** თოკის რგოლად გამონასკვა ბოლოში (წვერში).

**გამორჩენა** შემოსავალი, დარჩენა.

**გამოტვინება, -ული** ჭკუა გამოლეული, ჭკუა თხელი.

**გამოჩერჩეტებული** გამოსულელებული, უტვინო.

**გამოჭეჭვა** გამოწოვა.

**გამოხურდავება** წვრილზედ დახურდავება.

**განარცხვა, განარცხული** საქონლის და ფრინველების ტანში გახსნა, გაფალარათება.

**გან**ე**რა**

**განმარჯობა**

**განცემა**⁾ გაცემა.

**განცვიფრება** გაკვირვება.

**განწყრომა** გაწყრომა.

**გაპა**‘ **ჭყვა** ხელების გაშლა.

**გაპოხვა** ქონის ან დუმის წასმა.

**გაჟუჟვა** გაჟლეტა.

**გარდაბოსი** შვილი ქართლოსისა, გმირი, აღმაშენებელი გარდაბანისა (ქართ. ცხ. I, გვ. 19).

**გასახლვა, გასახლე** მკლავების გაყრა სახლებში, მკლავები გაუყარე სახლებს.

**გატიკნული** გამაძღარი, გაბერილი.

**გატეტა** გატეხა.

**გატვრინვა** განაბვა, გაჩუმება, გაყუჩება, გარინდვა.

**გაქირცვნა** კანის გაძრობა, გალოპვრა.

**გაქლესილი** გახეხილი, პირში მაქებარი.

**გალნიოშება** აწეწა საქმისა, გაუთავებლობა დაწყებული საქმისა.

**გაჭყიპვა** ბევრი სასმლის დალევა.

**გაჩიოსი** გმირი, შვილი ქართლოსისა, აღმაშენებელი გაჩიანისა (ქართ. ცხ. I, გვ. 19-20).

**გაცი** ქართველთა კერპი ვერცხლისა, რომელიც აღმართა აზომ (ქართ. ცხ. I, გვ. 28).

**გაძეკილი** გატენილი.

**გაწყალებული** ხმარებისგან დალეული, გაცვეთილი.

**გაჭარვა** სინესტისგან მოსავლის გაფუჭება.

**გაჭეკნილი** გატენილი.

**გაჭიჭებული** დაბერებული, აბოლებული მწვანილი.

**გაჭყიპვა** ყელთამდე ავსება.

**გახიწვნა** სახლის გალაგება.

**გახვლეპა** გაძრობა, გატყავება.

**გეზი** კვალი, სუნის აღება ძაღლისგან.

**გენა** ალერსი ბავშვებისა.

**გველ-კუი** პატარა კუ მკბენავი.

**გვიბძანე** სიმღერაა.

**გზის გათავაზება** გაცილება.

**გლიმი** კრინტი.

**გმინვა** ტანჯვა.

**გნაცი** ძალი, ღონე.

**გნიასი** ყივილ-ხივილი, ხმაურობა.

**გოგვა, მოგოგავს** ჩქარი ნაბიჯით სიარული.

**გოგონა** პატარა გოგო.

**გოგორა, გოგორობა** ცვრევა.

**გოგუცი** პატარა გოგო.

**გოთაობა** გოთა ჯოხია მოკაუჭებული, რომლითაც რიკსა სცემენ.

**გორგოლა** პატარა თვალი ურმისა, გინა გუთნისა.

**გორგოლაჭი** საბავშვო ურმის თვალი.

**გორგომიჭელა** მთელი ლებნების ჩურჩხელა.

**გორდა** თაბახი ხისა.

**გორზავალი** ხის ფეხი.

**გოროხი** გამხმარი ტალახი.

**გორხანა** სათვლავი.

**გრიჭა** მაგარი თიხა.

**გულის აჩუყება** ცრემლების მოსვლა.

**გულის გადმოქანება** შეშინება.

**გულის ძმარვა** გულის წვა.

**გულუბრყვილობა** გულწრფელობა.

**გუფთა-ბოზბაში** ცხვრის ხორცის წვენი, რომელშიაც დაკეპილი და დასორსლებული (დაგუნდავებული) ხორცია.

## დ

**დაბნევა დუგმ სა** დუგმის დაკერება.

**დაბოლოვება** როდესაც ურმის ბოლო დასძლევს და თავს მაღლა აიწევს.

**დაბოხებული** დაბერებული, ხმადასქელებული.

**დაბუზული** ფრთა-ჩამოყრილი.

**დაბუხული** დაძრული ყინვისაგან.

**დაბჯინება** დაყრდომა, დანაბრება.

**დაგაზვა** დაკაწვრა, დაგლეჯა.

**დაგუგუნება** ბუხრის შეკეთება ცეცხლისა.

**დაგ შამათოს** დაწყევლა რჯულ-

**დადა** დედა. [გადამდგართა.

**დავახშმება მთვარისა** მთვარე რომ ვახშმის შემდეგ ამოვა.

**დაკარწახება** ტანსაცმელის აწევა.

**დაკოჟრებული** გამაგრებული ან ადამიანის ტანზედ ან ხეზედ, დაბეგვილი.

**დალაბანდი** დოლი.

**დამალი** ყელის ჩამოსვლა.

**დამპალი** გაფუჭებული, აყროლებული.

**დანაპრება** დაყრდომა.

**დანანა** კერპი ქართველთა, რომელიც აღმართა მეფემ საურმაგმა (ქართ. ცხ. I, გვ. 33).

**დანდობა, დაინდო** დამაკება, დამაკდა.

**დანდრაზა** სქელი ადამიანი.

**დაოსება** დაქანცვა, დასუსტება.

**დაჴარული** დაბზარული.

**დარანი** სადაც მდინარეში თევზი იმალება.

**დატკრეცილი** დაწითლებული ლოყები.

**დაფაშრება** გამომცხვარი პურის გამოხმობა.

**დაფერცხვა** დედლის დევნა.

**დაფოლება** ფასის და ღირსების დაკლება.

**დაფორიაქება** დაბთხობა.

**დაქოქა (დაქოქვა)** მომართვა.

**დალაზული** დაკაწრული.

**დაღვრემილი** დარდიანი, თავჩაღუნული.

**დაყიალება, ყიალი** უთავბოლოთ სიარული.

**დაყოინება** დაცხრომა.

**დაყრდომა** დანაბრება.

**დაყურსებული** გადამდნარი ვერცხლი.

**დაშნა, დაშანი** ხმალი.

**დაშარტვა** მაგრა შეკვრა.

**დაჩოთინება** ხელის დარევა, ჯობნა.

**დაცინცვლა** დატუქსვა, მოტუქსვა.

**დაძახვა** შემოძახვა სიმღერისა.

**დაწრწის** უთავბოლოდ დადის.

**დახე** დახედე. [ბა.

**დახლა-ბურთი** სახავშვო თამაშო-

**დახლ\`კნილი** ბრუდე, არა სწორე.

**დედანი** გუთნის ფთის უკანა ნაწილი.

**დეკნა, დეკეული** ახალი ძროხა.

**დელამა** ყველის ამოსაღებად რომ რძეს შეადედებენ.

**დიამბეგო** სიმღერაა. [ბათი.

**დიდი შაბათი** ვნების კვირის შა-

**დიდრაჯობა** დიდ-დიდის გაყოლა, მათი მიბაძვა.

**დიდ-ხუთშაბათი** ვნების კვირის

**დოდო** გოგო. [ხუთშაბათი

**დოზანა**

**დოლა** ურქო საქონელი.

**დორანი** იღბალი, ბედი. [სხვ.).

**დოყ-დოყი** ნორჩი (მწვანილი და

**დოშტოროლა** ჩილიკას რომ დააჭდებენ მიწაზედ გასაკრავად

**დრემლა** ცხვრის განავალი, ცურ-

**დრკუ** მზაკვარი. [ცლი.

**დრუზვა, ვდრუზე** დარტყმა, დავარტყი.

**დუბელა** მზისგან გამთბარი წყალი.

**დუბეში** ნარდში ორჯერ ხუთიანი.

**დუჟი** ბნედიანს რომ მოსდის ხოლმე ფურთხი.

**დუთკო** აბურცებული, დასიებული თითი.

**დუფანჯი** ნარდში ორჯერ ხუთიანი.

## ე

**ებო** ერბო.

**ელეთ-მელეთი** მეტის მეტი სურ-

**ელთი** ერთი. [ვილი.

**ელმოდა** სტკიოდა.

**ეტი** ნაწილი ვენახისა.

**ექანი** მაყარი.

**ეჰიო** როგორ არა! დიახ!

## ვ

**ვაჰჯანი** ვარცლი. [ლობა.

**ვაინაჩრობა** მეტი სახსრის უქონ-

**ვარანვი** ზამთრის თბილი ღამე.

**ვარიკელა** კურდღლის მოზრდილი ბაჭია.

**ვარსამატი** (ქართ. ცხ. I, გვ. 49).

**ვახრაკი** წყარო.

**ვეეჳართელა** ძალიან დიდი.

**ვირგლა** გაუთლელი, დიდი ტა-
[ნიანი.

## ზ

**ზაალა წაილო** შემაწუხა, საქმე გამიჭირა.

**ზადენი** ქართველთა კერპი, რომელი აღმართა მეფემ ფარნაჯომ (ქართ. ცხ. I, გვ. 34).

**ზამათი** დიდი თოვლი და წვიმები, თოვლ-ჭყაპი.

**ზამინი** შესამაგრებელი ბოძი.

**ზედადგრობა** საუმაწვილო თამაშობა.

**ზახრუმა, ზახრუმალო**

**ზედახროვა** თავის მოყრა ერთად.

**ზეით-ქვეითად ყოფნა** როდესაც კაცი უქეიფობს და ლოგინათ კი არ არის ჩავარდნილი.

**ზემჭვრეტი** დაუკვირვებელი კაცი.

**ზი! ზი!** ძაღლის გაბრაზება.

**ზიზია** ახალი, კარგი.

**ზინათი** სიმდიდრე.

**ზოსტერი** სარტყელი.

**ზუზი** მაღალი, აწოწილი.

**ზურგულება**

## თ

**თაგვობა** ასკილით თაგვების გარეკვა სახლიდან ყველიერში.

**თავანკარა** პირველი რამ, წმინდა, სუფთა.

**თავრიელი** საქალამნე თავის კანისა.

**თავწვერა** თავის ნათქვამი, კერპი.

**თავხე** რაზედაც კოჭები აწყვია.

**თათარი** ქართველებმა პირველად უწოდეს ეს სახელი მონღოლებს (ქარ. ცხ. I, გვ. 344).

**თათარიჩხნათ** როცა ხორცი მოხარშვაში შევა, სანქაროთ მო- [ხარშვა.

**თათები** ხელები.

**თალია** ერთი თამაშობა ნარდზედ, ჭანდრაკზედ.

**თამელი** მაგარი ხეა, რომელსაც დერძად ხმარობენ.

**თანგი—ები** ყურძნის საწური ნავის გასამაგრებელი ძირის ხეები.

**თაობა** ორმოცი დღე ანეული.

**თარბე (თაიბე?)** ეხლანდელი ისპანია. [კროიკები.

**თარგი** გამოსაჭრელი მინუშები, ვი-

**თასაკი** თაბხის თავზედ დასადგმელად რგვლად მოხვეული ტილო.

**თაფი** სათამაშო კოჭის ზურგი.

**თალარი** დიდი ქვევრი საწნახლის მილთან. [ძირები.

**თეგი** გათიბული ბალახის მსხვილი

**თემელიანი** კეთილ-საიმედო.

**თეო** ცხვრის ბინის გარშემო ალაგი, სადაც ძაღლები დარაჯობენ.

**თერხვი** ძრიელი ქარიშხალი.

**თვალ-ბუცუცა**

**თვალის კვრა** თვალი ეცა.

**თვალის მოტყუილება** მცირე ძილი, წაძინება.

**თვალსაზრისი**

**თვალსაჩინო**

**თვალის ცემა** თვალი ეცა, თვალი ჰკრეს.

**თიბვისა** სიმღერა, რომელსაც ამბობენ თიბვის დროს.

**თიქმა-თიქმა გაქცევ** სულ დაგ- [ლეჯამ.

**თოლი** თვალი.

**თოინთლე** შემოუსვლელი, რბილი.

**თორნე (ქვაბი)** მღვიმე, გამოხაგვეთი კლდეში.

**თოფური** ალავერდა.

**თოქშ** გაჩერდი, ვირს ეტყვიან.

**თოხნისა** სიმღერა, რომელსაც ამბობენ თოხნის დროს.

**თრეულა** ერთგვარი სიმღერაა.

**თქეში** გამდნარი თოვლი.

**თხლის შეჭამანდი** მჟავე შეჭამანდი თხლისა.

**თხორი**

**თხრილობანი** ძველი ნაშთების თხრა.

**თხუნელა**

## ი

**იავნანა** უმღერიან წითელით ავადმყოფს.

**იამინობა** მშვიდობა, სიწყნარე.

**იანი (წასვლა იანი)**

**იბნა** გარყვნილი, ჭაკი.

**იერი** შეხედულობა

**ითაფა** მიკრული გუნდის ჩავარდნა თონეში.

**იკუჭნება** მდიდრდება, სარჩოს იძენს.

**ინწუბა** წუმწე ღორის ჩასაწოლი.

**იქეშა** ღორი დამაკლა.

**ილნალი** ქალაქისავით სავაჭრო დაბა.

**იჩეჩება** იქექება, იშმუშნება.

## კ

**კაბდო** პატარა ნაჭერი მიწა.

**კაკა** ხილი.

**კაკანა** აკვანი.

**კაკანათი** ძუის მახე ჩიტების დასაჭერი.

**კაპოეტი** მწვანე ქვა.

**კარნახობა** ДИКТОВКА.

**კატა პირს მეცა** სახტათ დავრჩი, შევკრთი.

**კაჩო** ბოძში შერჭმული ჯალო ჩამოსაკიდებლად.

**კაცუნა** პატარა კაცი.

**კახოსი** გმირი, შვილი ქართლოსისა (ქართ ცხ. I, 19).

**კბილის შეკვრა** ღამე გარეთ დარჩენილი საქონელი ნადირმა რომ არ წაახდინოს სავარცხელს კბილებს შეუკრამენ და შეულოცამენ.

**კედარო** ქვეყანა, მხარე.

**კეკემალულა** ბავშვების თამაშობა, ერთი თვალს ხუჭამს და სხვები იმალებიან.

**კენჩხო** თავის სარქველი.

**კენჭაობა** ხუთი კენჭით თამაშობა.

**კერეტანა** კერატი.

**კეწ-კეწი** ახალი, უხმარებელი.

**კვალობაზედ** წილადობაზედ, მიხედულობაზედ.

**კვანწი** თამაშობა, ცეკვაობა.

**კვანჭილა, კვანჭლ ანი** კოჭლი.

**კვეკვერა** პატარა კვერი.

**კვეცო** კვერცხი.

**კვნესამე** ჭირიმე.

**კვრივი** ჩასხმული კაცი, მხარძარღვიანი.

**კიკა** ლოყაზედ ხელის მოცაცუნება.

**კიკინი** ყურებთან ჩამოშვებული თმა.

**კილი** ჩენჩო.

**კინწი მოსწყდა** დაიძინა, დათვრა.

**კირა** ასფალტი.

**კისკისი** სიცილი ქალებისა წმინდა
**კიჭი** კბილი. [ხმით.
**კლოჩები** ტიტველა ბარკლები.
**კნაწანი** გაკვნეტა.
**კობიკი** ქალაქური ქმრის ბუშტი.
**კოდა** წყაროზედ დადგმული უძირო კასრი.
**კოთხუნჯი** გონჯი, უხეირო.
**კოკონაჭია** ჭიაკოკონობა.
**კოკოტა** რგვალი ნივთი.
**კონჩინა** ქაღალდის თამაშობაა.
**კოპიტი** შავი ფული, ხის სახე-
**კოპიხო** [ლიც არის.
**კოჟანდარი** ნაბოლარა შვილი.
**კოჟრი, დაკოჟრება** ხელებზედ ბებერების ამოსვლა.
**კოტა** ШИПЪ.
**კოტაკი** პატარა გორაკი.
**კოტიობა** იგივე ქართლური ლაზარობა, კოტიობა მხოლოდ ავდარში იციან, რომ გამოიდაროს.
**კოტიტი თითები** მოკლე თითები.
**კრასაული** ღვინის სასმისი ბერთათვის დღესასწაულებში.
**კრივი** მუშტით შეტაკება.
**კროკო** ზაფრანა.
**კრუნჩხი** გაცხავების შემდეგ ერთად დახროებული თავთავები.
**კუმი** ქალს რომ წესიერად არ ექმნება ასო, ქალაბიჭა.
**კუმხალი** ყურძნის მტევნის კლერტოზედ გამოსხმულები.
**კუნაპეტი** ძალიან შავი, ბნელი ღამე.
**კუნტულა** პატარა ჩურჩხელა.
**კუპრიელი** საქალამნე ძველი რუმბისა.
**კურკამძვარა** ჭანჭურის გვარია.
**კუტალი** ხის ლიტრა ლულიანი.
**კუტი ფლავი**
**კუძენი** ყურძენი.
**კუჭვნა** შენახვა, დამალვა.
**კუხოსი** გმირი, ძე ქართლოსისა (ქართ. ცხოვ. I, გვ 19).

## ლ

**ლაბიცრი** ბანის ზეით რამდენიმე რიგი კედლისა გარშემო.
**ლათაია** ზღაპარი, არაკი.
**ლამუნი, ელამუნება** ტროფია-
**ლაპრი** მუხა. [ლება, ალერსი.
**ლაჟუჟი** ცოტათი მომჟაო.
**ლაკარტანა** გათხელებული ადამიანი, ჩამომხმარი.
**ლართხა** თხელი კაცი. [ზედ.
**ლაფა** ტკბილი დასასხმელი საჭმელ-
**ლაფათა** ლავაშის დასაკრავი ჩალით გავსილი ბალიში.
**ლაქლაქი** უბრალოდ ლაპარაკი, უბედობა.
**ლახტობა** ყველიერში ლახტით თამაში. [დება.
**ლელეჩი** როდესაც ცხელი გაცივ-
**ლელვერდი** მოქნილი სახრე.
**ლიცლიცი** ძალიან სავსე.
**ლოდა** დიდი ბადია.

**ლოდაკი** მომცრო ბადია.
**ლოფლოფი** უნაწუწო კვერცხი, რომელსაც ზოგჯერ დასდებს ხოლმე ქათამი.
**ლოლვნა** ზარმაცად ჭამა.
**ლუტი** უსახლკარო, უქონელი.
**ლუყუარტი ღვინო** მომბალი
**ლუყურტი** [ღვინო.

## მ

**მაზალო** კოხტა, სასიამოვნო.
**მამაკალია** წვრილი თეთრი ლობიო, გრძელ-პარკებიანი; ორჯერ ისხამს.
**მანეული** ვაზის შესაყელი წნელი.
**მარაგიანი** თბილი ღამე.
**მარტია** კაჭკაჭის ბარტყი.
**მარქაფა** შოლტი ტყავი.
**მარქაფა** ტივის ხეები, რომლებიც მოფონებულად აქვთ ტივებს მობმული გვერდებზედ.
**მარქაფა** შოლტი ტყავი (ზღაპრებში გვხვდება).
**მასტაკი** მირონის მოხარშვისთვის ხმარობენ. [ველი.
**მარჩენელი** შემნახველი, მზრუნ-
**მასმორი** ლითონის მანკალი ცეცხლისათვის.
**მატანტალა** მარტის მონაგები, უსაქმოდ მოსიარულე; მარტი — მატანტალა.
**მატყუა** მაჭანკალი.

**მაქნისი** ვარგისი. [გაყოლა.
**მალალ ფარდეპ'ში** დიდ-დიდის
**მალია** თვალთმაქცობის სწავლა.
**მაყრული** საქორწილო სიმღერაა მაყრებისა. [ბული.
**მაშარაბი** ხილის წვენი მოდუღე-
**მაწიფრობა** ყუათიანობა.
**მაჩანჩალა**
**მაჭატელა** ენა კაჭალა.
**მელეური** ფეტვის ათეული.
**მერტყვილი** ქუსლი.
**მეტიჩარა** არა მკითხე მიამბე.
**მზგეფსი** რომელსაც ოთხშაბათ-პარასკებს ხსნილია (СПЛОШНЯЯ).
**მზეუჭვრიტა** ლილიფარა, ნინოფი.
**მზის გადაწვერა** მზის ჩასვლის მოახლოვება.
**მიატანა** დაეწია. [მოკიდება
**მიზეზ-მიზეზ** მიზეზიანობა, ჩა-
**მიზუზვა** დაბუზულად სიარული.
**მიკიოტი** შავი ფრინველია.
**მიკოსება** მიკვრა, მიწებება.
**მიპრიანა** შემეწია იღბალმა.
**მისხის-მისხი** შორეული ნათესავის ნათესავი.
**მიქვავება, არა მიაქვავია რა** — არა აქვს რა, **მიაქვავე** — მი- [უგდე.
**მიჩქმალვა** მიმალვა.
**მიჭყამალაყი** კისერზედ გადაბრუნება. [ფობა.
**მოარული** გადამდები ავადმყო-
**მოგუდული ღვინო** უჭაჭოდ დაყენებული.

**მოიდა** მოვიდა.
**მოჴვინტლა** მოჯადოება.
**მოკურცხლვა** მოძურწვა, გაქცევა.
**მოლეული** შინაური ფრინველი
რომ კვერცხის დებას დასტოებს.
**მოლი** გაზაფხულის პირველი მწვანე ბალახი [ტვლეპა*).
**მოლოპრა** ხის კანის გაძრობა, მო-
**მომცვრევა** რთვლის შემდეგ ვენახში შერჩენილი ყურძნის
**მოყურვა** [ძებნა.
**მოლუშება** მოღრუბლვა.
**მოჩხირული** წამოზდილი.
**მოჩხრეკა თონისა** თონეში ცეცხლის გაჩხრეკა.
**მოცადი** (საქონელი) — წვრილ-ფეხი საშენებელი საქონელი.
**მოცი** მთის შავი მოცხარი.
**მოძურწვა** მოკურცხლვა, გაქცევა.
**მოხმურიული** მოღრუბლული.
**მოხრაჭული** მოხრაკული.
**მოჰტორიკი** ჯანსაღი, საქორწინო.
**მოჯარვა** კარების მოხურვა.
**მოჯარი** ადიდებულ მდინარეს რომ მოაქვს მოგლეჯილი ხე.
**მუმლი მუხასა** ქართული სამხედრო მარში.
**მურაკი** კვრინჩხი.
**მურვაყიანი ღვინო** წმინდა ღვინო, გაუზავებელი.
**მუშაკი** მშრომელი.
**მუწუწი** რამეს სიყვარული: ღვინისა, ქალისა.
**მუჭური** ჩუკუნება
**მცხეთოსი** შვილი ქართველთა მამა-მთავრისა, აღმშენებელი მცხეთისა (ქ.-ცხ. I, გვ. 19).
**მძევალი** ლაყე კვერცხი საბუდრისა.
**მწერი** ერთ გვარი თევზია
**მწიფობის თვე** ღვინობის თვე.
**მჭად-პური** სიმინდის და პურის ფქვილის ნაცხობი.

## ნ

**ნავროტი** სამოვარი ბალახი.
**ნაირი** ჩვენ წინაპართა სახელი
**ნალფანა** ძველი ნახშირი.
**ნალფანა** ცხენის ძველი ნალისაგან გაკეთებული ნალები ხარკამბეჩისთვის.
**ნამქერი** ქარისგან მიყრილი თოვლი.
**ნამჯოპი** ყანის ძირი, რაც დარჩება მომკის შემდეგ.
**ნანდობი** მონდობილი.
**ნანინა** აკვნის სიმღერა.
**ნანოფირი** მზეუმწვრიტა, ნინოფი.
**ნაპატივარი** წინათ გაპატივებული, საქმე დაყრილი.
**ნაჟური** რაც შეგდებულ წყალს გაჟვანავს.
**ნასმურტლი** ცომის მოზელის შე-

*) გურიაში მოლოპრას ქაფის მოხდას ეძახიან რამე საგნის მოხარშვის დროს. რედ.

მდეგ ხელებიდან მოშორებუ-
ლი მიკრობილი ტომი.

**ნატეხარი** ჭურჭლის ნატეხი.

**ნალვაწ-ნადაგი** ნაშრომი, შექნი-
[ლი.

**ნაყარ-ნუყარი** ანარჩევი.

**ნაშე** შლამი. [ხატი.

**ნაწილოვანი ხატი** ნაწილებიანი

**ნაჭყაპურტები** შინაგნეულების
(ნაწლავების) დარევინება.

**ნახალი** დახალული.

**ნება** ნელა.

**ნესტი** სისველე სახლში.

**ნუკბარი** ახალი ხილი, სასიამოვ-
[ნო რამ.

**ნუნუ** ღვინო.

**ნწალი** წყალი.

## ო

**ოდა** მოჯამაგირის საწოლი ადგი-
ლი ბოსელში*).

**ოდორგელა** ხეპრე, გაუთლელი,
მოუხეშავი.

**ოკრო-ბოკრო** ოდრო-ჩოდრო.

**ოლი** ორი. [ამბობენ.

**ორი ყრა, სამი ყრა** — ყავარზედ

**ორკოპე** გოგრის ხაპარი.

**ორმოობა** საბავშვო თამაშობა.

**ორპირი გალობა** ორ გუნდათ
სიმღერა.

**ორტოტად** ორად შეკეცილი თო-
კი, ქამარი. [ტოტი.

**ორყეყელი** წყვილად წასული ორი

**ორშიმო** ყელიანი გოგრა, რომ-
ლითაც საწნახლიდან ღვინოს
იღებენ.

**ორხელა** უღლის გუთანი.

**ოქოქა** უღელი ხარით სამუშაო
გუთანი.

**ოქრხოსი** ძე მცხეთოსისა, მან
აღაშენა ოძრხე (ქარ. ცხოვ.
I, გვ. 20).

**ოხითა** ტროპარი.

## პ

**პანაგია** მღვდელ-მთავრის გულზედ
საკიდი ხატი.

**პაპაპა!** რა კარგია!

**პაპყი** თხელი თოვლი. [ყვნილი.

**პაჟარნი** ლოთი, გაქსუებული, გარ-

**პარასევი** პატიოსანთა ჯვართა ჭა-
ერში გამოცხადება და სასწა-
ულები (ქ.-ცხ. I, გვ. 169).

**პარპაშობა** დიდების მიბაძვა, ამ-
პარტავნული ცხოვრება.

**პარტალი** თეთრი ყურძენი დიდ
მტევანა, ზევიდან ქანგისავით
მოკიდებული აქვს.

**პაჩი** კოცნა.

**პელაგონი, პელელო** ზღვა.

**პილი** პირი.

**პირის კითხვა** გამოკითხვა, პი-
რობის გაგება.

**პირკატა მეცა** სახტად დავრჩი.
[რედ.

---

*) იმერეთში და გურიაში ოდა კარგი საბატონო სახლია.

**პირ-მუცელ-მიდგმული** მალე დასაწოლი ქალი.

**პირლნიოში** ყბადია, ლაპარაკში თავდაუჭერელი.

**პირშავი** უპირული კაცი.

**პოზანი** სადი ხილი.

**პოსლიკა** თავ მოტვლეპილი.

**პრაწა-პრუწი**

### ჟ

**ჟამთა მჭვრეტი** დროსა და გა-რემოების მიმხედველი.

**ჟვალმატი** სხვა და სხვა ბალახი არე-

**ჟოქო** ცუდი ღვინო. [ული.

**ჟრუჟუ** დაბუჟებული ასო.

**ჟრიამული**

**ჟუჟვა** ჟლეტა.

### რ

**რათა ხანია** რამდენი ხანია.

**რამე-რუმე** სხვა და სხვა ნივთე-ბი, ამბები.

**რევმა** ნაკადული, ხილთი.

**რთვლისა** სიმღერა ყურძნის მო-კრეფის დროს.

**რიკი** ორკაპიანი, რომელსაც ცხენს უკეთებენ, რომ ნახირში არ ირბინოს.

**რისხება, დარისხება** დღესასწა-ულის წინა სალამოს ზარის ჩამორეკა, რომ უქმე არ გა-სტეხონ.

**როდინი და მისი როკი**

**როჭიკი** ჯამაგირი, სასყიდელი.

**რუბი** თექვსმეტი ფარა.

**რუხ-რუხი** ღორის დრუტუნი.

**რჩოლი** წნელის პატარა რგოლი.

**რცხალი** დასვენებული მიწა.

### ს

**საავათო** გადადებული სარჩო თა-ვის მოსარჩენათ, საუბედურ-დღეოთ.

**საბედო** ბედისგან მონიჭებული.

**საგერისთო** ზედაშე, შენახული გერისთობისთვის.

**საგერო** ზედაშე გერის დღესასწა-ულისთვის.

**სადაგი დღე** უბრალო დღე.

**სადევარი** სათევზაოთ დაწყვეტი-ლი ტოტის სიგრძე.

**საზუზარი** ფაქიზად სახმარი.

**სათახვე** სადაც სცხოვრობენ თა-ყვნი, თახვნი (бобръ).

**სათული** პატარა ცული, ნაჯახი.

**სათხრილავი** ყორის გარეთ და-ტოვებული მიწა ყორის შესა-კეთებლად.

**საკოკე** სახელარზედ გადაკიდული სამ კაპიანი ხისა, რომლებ-შიაც კოკებსა სდგამენ.

**საკუარლილიანები** — ხევსურები უწოდებენ რუსებს.

**სალაფავი** ოთხფეხთათვის საჭ-მელი წყალში გახსნილი სი-მინდის ფქვილისა.

**სალხინო მუხლი** ორსულ ქალს

დალოცამენ ხოლმე: „ღმერთ-
მა სალხინო მუხლი მოგაურე-
ვინოსო".
**სამერცხლე** ყავარზედ გასასვლე-
ლი კარები.
**სამკვდრო** კვდრის სამარხი ფული.
**სამღვთო** ამქრები გადაიხდიან ხო-
ლმე და სოფლად გლეხებიც.
**სანა** აღშენებული.
**სანაყრე** საჯდომი, ნაწული.
**სარისტა** მოხერხება, გამჭრიახო-
ბა, გამოცდილება.
**სარმა** ფეხის გამოკვრა ჭიდაობაში.
**სარკისობა** სარკის წმ. ჯიორგობა.
**სასტი** ბრძანება.
**სასულე** სარკმელი, ფორტოჩკა.
**სასუსნავი** შესაჭმელი რამ, უფ-
რო ტკბილეული.
**სატალახო** წასვლის დროს რომ
ღვინოს დაალევინებენ სტუ-
მარს.
**საშიობო** ზედაშე, შენახული შიოს
დღესასწაულისთვის.
**საყენებელი** სოლები, რომლებ-
საც ღერძი უჭირამთ.
**საცივი** წყარო.
**საცივი** მჟავე წვნით შემზადებუ-
ლი საჭმელი (ფრინველი).
**საწიფელო** ცოტ-ცოტა საფქვავის
**სახლიკაცი** [დაფქვა.
**საჯოხე** ხბო ან ძროხა, რომელ-
საც აძლევენ საქონლის მო-
ზიარეს საზუქრად.

**სიავი** ტაშტი, თასი.
**სიბანი** მარჯვენა ბეჭი ცხვრისა ორი
წიბოთი და თირკმელებით, რო-
მელსაც მლოცავნი მღვდელს
**სიმბოლო** ნიშანი. [აძლევენ.
**სინაგოგა** ებრაელთა სალოცავი.
**სირი** რიგი.
**სირონი** სამანი.
**სირსიტი** ქუდის ქვეშ დასახური.
**სირჩა** გაძევება.
**სისხამ დილით** რიჟრაჟზედ.
**სიყრმის შვილი** უფროსი ვაჟი,
პირველი შვილი, თავანკარა.
**სიცვილი** სირცხვილი.
**სკნირიანი** მუსტოფი. [ჭამა.
**სლაფვა** ოთხფეხისგან სალაფავის
**სუბათ** სუმბუქად ჭამა ახალ გახ-
სნილებაზედ.
**სუზანი** ლურჯი სუფრა.
**სუნდური** ღობე-ყორეში დატოვე-
ბული სარწყავი წყლის გასა-
**სუფრული** სიმღერაა. [ვალი.
**სუხსური** დიდი იხვი.
**სხვენი** გადახურული ბანი.
**სხირტლი** ნერგის სარის ანასხეპი.

## ტ

**ტაატი** ბავშვების ფეხის ადგმა, ზა-
რმაცად ფეხის გადადგმა.
**ტაბლა** მიცვალებულთა მოსახსენე-
ბლად მომზადებული.
**ტავარნა** ურმის თვალზედ მიკრო-
ბილი ტალახი.

**ტანტალო** ბურთაობაში გაქცევა.
**ტამაზლუხი** საშენებელი საქონელი. [ნი კიბე.
**ტანტრა** დასადგმელი ოთხ ფეხიანი კიბე.
**ტაპტაპა** შეუგნებელი მოუხეშავი.
**ტაპ-ტაპ** დედალს ეტყვიან და ჩა-
**ტარაკუჭა** მეტიჩარა. [ჯდება.
**ტარიგი** სეფისკვერიდან ამოჭრილი კრავი.
**ტატანი, დაუტატანა**
**ტაფამწვარი** ერბოკვერცხი.
**ტერეფა** სნეული საკლავი ურიებში.
**ტინგიცი** ჭკუა ნაკლები, ხეპრე.
**ტკრიაცი** სიცილი.
**ტლო** ხელმარტო ბიჭი.
**ტლოკები** ტიტველა ბარძაყები.
**ტლუკი** ფინთი, სულელი.
**ტოლუმბაში** თამადა. [ლი.
**ტოპვა** წყალში ან ტალახში სიარუ-
**ტორვა, დატორვა**—დაწიხვლა.
**ტორიკაობა**
**ტორლიალი** ადევნება.
**ტრახკანა** ბატის ფთისგან გაკეთებული საბავშვო თოფი.
**ტრუბუცა** ცუღლუტი, გაქნილი.
**ტუკი** სამ კვირტზედ გასხლული ვაზი.
**ტყუპა** ერთგვარი ჭანჭური, რომელიც მიტყუპებულ ხილს ის-
**ტყუჭი** ქალის ასო. [ხამს.

## უ

**უიმე?!** ვაიმე?!
**უკინე, მიკინა**, უკბინე, მიკბინა.
**უმარტისოდ** უდროოთ დამკვებული საქონელი.
**უმრნკველი** საკვერებელი.
**უნიათო** უმოსაზრო, ძალა გამოლეული.
**უუმაუური** *)
**ურდუმი** საყვავე.
**ურმანი** დაბურული დ გაუვალი ტყე.
**ურმული** სიმღერაა.
**უსანათო** ღარიბ-ღატაკი.
**უსანეთობა** **)
**უსუფი** ძმაა ზღაპრული გმირის ყარამანისა.
**უტნალარი** ერთგვარი ცურაობაა.
**უფლოსი** ძე მცხეთოსისა, რომელმან აღაშენა უფლის ციხე და ურბნისი (ქ.-ცხ. I, გვ. 20).
**ულელა** ოცი დღის ნახნავი გაზაფხულისა.
**ულრანი** ხშირი, გაუვალი ტყე.
**უჩინმაჩინის ქუდი** — ქუდი, რომელიც უჩინარადა ჰხდის კაცს.
**უჩმახი**
**უჩმაჩური** უხეირო კაცი.
**უძლები** ორსული.
**უჯიათი** ჯიბრი

*) ავი სული, რომელიც კაცს აჩრობს ძილში. რედ.
**) უსანეთის ეკლესიის დღეობა გორის მაზრაში, მეჯვრის-ხევის მახლობლად. რედ.

ფ

**ფაიფუ** დაიკარგა. [დალდი.

**ფათა** კონჩინას თამაშობაში 26 ქა-

**ფალანგის კარები** პატარა კარე-ბი ალაყაფის კარებში, ან მის გვერდზედ.

**ფანფალაკი** — რაზედაც დირდი-ტია გუთნის.

**ფანქარი** კალმის ტარი.

**ფარა-ფარა** დაგლეჯილი ტანსაც-

**ფართი-ფურთი** [მელი.

**ფაუხა** კოჭლი.

**ფაშრდება პური** მალე ხმება.

**ფაჩუჩი** ნიშანი, რომელსაც შეაბა-მენ ხოლმე შინაურ ფრინველს.

**ფაჩუჩი** ბავშვის ფეხსაცმელი რბი-

**ფაცი** ხელი. [ლი ტყავისა.

**ფაცქი** თხლად დაწნული ღობე, ანუ

**ფეიქარა** ობობა. [საბძელი.

**ფეტვის მქადი** ფეტვის ფქვი-ლისგან გამოცხობილი წი-თელ მჭადა.

**ფეფები** ფეხები.

**ფეხზედ მოხდა, მოვიხადე** — ავადმყოფობის ატანა ფეხზედ.

**ფეხაკრეფით** უხმაუროთ სიარუ-

**ფეხუცვლელად** *) [ლი.

**ფთილა** ბამბის დახვევა თითის ტარზედ სამკითხაოთ.

**ფიფია** ლობიო, წვნიანი საჭმელი.

**ფილთა-ქვა**

**ფისო** კატა.

**ფიფინა** დაირის საყდარუნებელი.

**ფიჭა**

**ფლანი** ესა და ეს.

**ფოლორცი** პატარა ჩავარდნილი ადგილი.

**ფოლოცი ქალი** სუმბუქი ყოფა-ქცევის ქალი.

**ფრანი** ფრიალა, ჭაერში აშვებული ოთხკუთხი ქაღალდი, რომელ-

**ფრე** წყარო. [საც კუდი აბია.

**ფსონი** აუყვანელი სათამაშო ქა-ღალდები, რომლებიც დამრი-

**ფსტა** [გებელს დარჩება.

**ფუა** ხაშხაში.

**ფურჩი** ნაკლულევანება.

**ფსტლობა** სიმინდის ტაროების მომტვრევა.

**ფუფალა** უფალი, ღმერთი.

**ფუფუა** ტკივილი, ნატკენი.

**ფუჩეჩა** სიმინდის მომკევან ხალხს უწოდებენ.

**ფუჩინა** ხბო, ძროხა.

**ფქილი** ყვავილის მტვერი.

**ფშვნეტი** პარაშოკი.

**ფხოჭნა** ხელით ან ფოცხით მო-ფხოჭვა დედამიწისა.

ქ

**ქალადო** უსათავნლო დოშეჭამანდი.

**ქალდეველი** ქართველი.

---

*) დაუძვრელად ადგილიდან. რეთ.

**ქანქური** ტყუილ უბრალოდ ტანის რხევა.

**ქარატა** ჭიქის კრიალოსანი.

**ქარაშოტი** დიდი ქარი, ქარიშხალი.

**ქარბუქი** ქარი თოვლით.

**ქართლოსი** მამათ-მთავარი ქართველთა, რომლის საფლავს ქ. არმაზში თაყვანსა სცემდნენ ქართველნი (ქართ. ცხ. I, გვ. 19).

**ქარი** დიდი აქვს ათას თუმანს.

**ქასური გაჰკრა** ლაქუცობა დაუწყო, თავი მოუქონა.

**ქაფიანი** ორნახადი არაყი.

**ქაში** ფეტვის ფაფა რძით.

**ქვახარშია** ძუნწი.

**ქაჯან!** – ქალური ალერსი.

**ქილი** მონასტრის განყოფილება (სკიტი).

**ქინდვრა** თავს ჰქინდრამს.

**ქობინო** სარეცხის სატყეპელა.

**ქონგური** გალავნის ანუ კოშკების წვეტიანი კბილები.

**ქუბი** გასუქებული ღორი.

**ქულკანა** სიმინდის მჭადი.

**ქურდ ბაცაცა** წვრილი ნივთების მპარავი.

**ქუქა**—დედალს ეტყვიან და ჩაჯდება.

**ქუქი, ჩაქუქდა** ჩაჯდა.

**ქუცუნა** გოჭი.

**ქშუტუნი** ბერვა.

## ლ

**ლადვრა** ყელის გამოჭრა, დაკვლა.

**ლადა-ლუდა** ეკლიან-ქვიანი ადგილი.

**ლდინი, ლდინამდის ჩაჰყვა**

**ლენძელა** ფესვებ ტკბილი მცენარეა და სჭამენ.

**ლვიტიკელა** (იმერლებს უძახიან).

**ლნავილი** უხეირო სიმღერა, ლაპარაკი.

**ლრიანცელი**

**ლუნწი** წუწურაქი, კრიყანგი.

**ლურლუტი** გულჩათხრობილი კაცი, ქვემ-ქვემა.

**ლჯოლი** გვერძე გაზდილი კბილი.

## ყ

**ყაბაზი** მეპურე.

**ყაბათ** განზე, ხალვათად, ფართოდ.

**ყადიმი** ნიადაგი მიწისა, მაგარი მიწა.

**ყავრული** ყავრის სახურავი.

**ყავ-ყავი კაცი** მყვირალა, ყბალია, მოდავიდარაბე.

**ყათარი** რამდენიმე კვალი გადარგული მცენარეებისა.

**ყაიდა, ამ ყაიდაზედ** ამ გვარად, ესრეთ.

**ყაირი** საქონლის ნალების გაცვეთილი ლურსმების გამოცვლა.

**ყალია** ღორის ხორცის წვნის ჩიხირთმა.

**ყალთანი** გარემოცვა მტრის სი-
**ყამა** ხანჯალი. [მაგრის.
**ყაპყაპი** ყვითელი ფრინველია, თუ პირ-გამოურეცხელი კაცი დასძლია, პირი აუყროლდებაო.
**ყარამანი** ზღაპრული გმირის სახელია.
**ყარყანი** წყლის ანუ ღვინის მაღალ ყელიანი ჭურჭელი.
**ყასავათი** ყაირათი.
**ყაფანი**
**ყაყიტა**
**ყეყე** ყეყეჩი, ახოეტი.
**ყვანა** ჭინთვა.
**ყვაჩალია** ყვავის ბარტყი
**ყიალი** უთავბოლოდ სიარული.
**ყიფი** რბილი, დუნე.
**ყინწი მოსწყდა** ძალა გამოელია.
**ყიყლიყო** მამლის ყივილი.
**ყლაპანი** დაუღეჭავად გადაყლაპვა.
**ყმებოდა** იყეფებოდა.
**ყმენდა** დიდი ლუკმების ჩქარ-ჩქარა ყლაპვა.
**ყორლანი** სამანი.
**ყორყი** მსხვილი კენწები.
**ყოყოჩი**
**ყოჩი** მოჭიდავე ცხვარი.
**ყრა** ორი ყრა, სამი ყრა ყავარი.
**ყრუჩუნა** ყრუ.
**ყურთაგლეჯა** თამაშობა ბავშვე-
**ყურთუკი** გერმა. [ბისა.
**ყურყურა** თავის საკბილო, ადვილად მოსატყუებელი.
**ყუჩი** სისუსხე (ზამთარს ყუჩი მოსტყდა).
**ყურწაგდებული** დაუდევარი.

**შ**

**შავი ორშაბათი** დიდმარხვის პირველი კვირის ორშაბათი.
**შავ-კაკალა**—ამ მცენარის ნაყოფი სათვალეს წამალია.
**შავლეგი** მხიარული სიმღერაა.
**შავტრუხა** შავგვრემანი, შავი.
**შაითანი** ეშმაკი.
**შალთა** რკინის სამარგლი ბოსტნისა.
**შარი** ამაღლებული მიწა ბოსტანში, რომელზედაც რიგზედ გადარგულია მცენარეები.
**შეგებება** დახვედრა.
**შევსვათ წითელ-წითელი**—ციციანთ სიმღერაა.
**შეთოხვლა** შეჭმა, გადაყლაპვა.
**შეკაზმვა** ლობიოს შენელება.
**შემობერვა მუცლისა** საჭმლისაგან.
**შემორაგული** შემოღობილი, შემოზღუდული.
**შემოხლა** ორი ნივთის ერთმანეთზედ მირტყმა.
**შენავარი** მძიმე გამწევი საქონელი.
**შეოკება**
**შერექილი** ჭკუაზედ შეშლილი.
**შერწყული ფლავი**
**შექსუება** შელევა.

**შეშუტი** ყოველ გვარი გასასყიდი საქონლის გამოულეულობა.
**შეჩურთვა** ძალით შედება, დაცობა.
**შეჭანა** შესჯამა.
**შიავი** წერტილებით მოხაზულობა.
**შიგ გაწირვა** თესლის ჩადგრა საშვილოსნოში.
**შიშლო** შიშველ-ტიტველი.
**შლაპანი**
**შლეგიანი** თავ-განწირული.
**შოლტი ტყავი** საქალამნეებათ დაჭრილი გძლად ტყავი.
**შუაგი** ხეივანი.
**შშ!** გაჩერდი ცხენს ეტყვიან, შე-
**შხივი** წყლის საქანი. [დექ.
**შხიშხიპი** შიშხინი.

## ჩ

**ჩაბასილება** თავში ჩარტყმა.
**ჩაბახური** წყლის საქანელი.
**ჩაბჟირება** ტირილისგან ბავშვი რომ ვეღარ ამოისუნთქავს.
**ჩაილურის წყალი** — ჩაილური სოფელია და მშვენიერი წყარო აქვს.
**ჩაკენჭვა** ამბის მიტანა.
**ჩაკვდომა** გაჯდომა ლაქისა, გადაკიდება.
**ჩაკვლა** მწოლიარეს მოკვლა.
**ჩაკოკლოზინება** ჩაგემრიელება.
**ჩალფაჩუნა** უხეირო, მოუხერხებელი, დაჩაგრული.
**ჩამუმლვა** ჩაფერფვლა.
**ჩატიტვა** დაწყევლა.
**ჩაცეცხლვა** გადაკვრა.
**ჩაწიკწიკება** წიკწიკით წერა.
**ჩახუნა** კოჭლი.
**ჩახსაკრავი** პაჭიჭებზედ შემოსაჭირები ჩაფარიში.
**ჩერო** ჩრდილი, ხის ქვეშ.
**ჩეჩქი** მოჭრილი სიმინდის ძირი.
**ჩიკრიკელა** პატარა კაცი.
**ჩილიკაჯოხობა** ჯოხით და ჩილიკით თამაში.
**ჩინალე** გენაცვალე, თავშემოგეხვიე. [ში.
**ჩიჟი-პიჟები** ფაშვის ნაჭრები ხაშ-
**ჩიტი** ახალ გაფლებულ ჩურჩხელას ღვენთი (წვეთი) რომ ჩამოვარდება ხოლმე.
**ჩიტის პური** მცენარეა.
**ჩიტიფაფობა** ყველიერში ფაფას წასცხებენ ნაფოტებზედ და ჩიტებს დაუდგამენ.
**ჩიჩქვი ხორცი** ნორჩი საქონლის ხორცი, რომელიც მალე იხარშება.
**ჩიხოლა** გძელი დაბამბული ახალუხი დედაკაცებისა.
**ჩიხორა** იუპკა. [ბული.
**ჩლუტი** დაფუყეებული, დასუსტე-
**ჩოკინა** პატარა ჩოჩორი.
**ჩოლფოთი** მოდუნებული.
**ჩოლხი** გაცხავების შემდეგ ცხავში დარჩენილი გაულეწავი თავთავები.

**ჩორთის ჩამოგდება** უთანხმოების, მტრობის ჩამოგდება.

**ჩორუმცა** წყევლაა.

**ჩორჩოტინა** წნელის პატარა რგოლი.

**ჩოფურა** ნაყვავილარი.

**ჩოქელა სიმინდი** დაბალი სიმინდი.

**ჩოქშ** გაჩერდი. ვირს ეტყვიან.

**ჩუკუნება** ОНАНИЗМЪ.

**ჩუმა ქვაბი** ჩუმათ არყის გამოსახდელი ქვაბი.

**ჩურგენ** თამაშობაში კოჭების მოტაცება.

**ჩური** თოშს და ყინულს რომ მიაყრის ერთად.

**ჩქეფი** გამდნარი თოვლი.

**ჩხა** მოჭრილი ტოტი ვაზისა ბევრ მტევნიანი.

**ჩხა** ნაჯახის ჩამოსაკიდები გუთანზედ.

**ჩხინკელა** დორის განავალი.

## ც

**ცანგალა გოგონა** სათამაშო სიმღერა.

**ცაცუნი** ხელებით ფათური, შეხება.

**ცახი** ცოცხი ან ფიჩხი, რაზედაც აბრეშუმის ჭია პარკებს აბამს.

**ცია, ციცია** ცეცხლი.

**ციკი** დედლის ასოს გამოშვერილი ნაწილი.

**ციმციმათ** ფთხილად აწევა საგნისა.

**ცირა** გასათხოვარი ქალი.

**ცისმარე დღე** ყოველ დღე.

**ციცირი** გარეული ქათამი.

**ცორინე** — მოდით, მოგროვდით. აგანგალაში ხმარობენ.

**ცრემლვა** გაზაფხულზედ გასხლულ ვაზს რომ ცრემლი ჩამოსდის.

**ცრუპენტელა** სიცრუის მთქმელი, მკვეხარა.

**ცუგო** ძაღლი.

**ცუგრუმელა** პატარა ტანის მარილიანი ქალი.

**ცუცნა-კუკნა** პატარა.

**ცხონდა** გარდაიცვალა.

**ცხრა** ძველი თვლა: ერთი ცხრა, ორი ცხრა და სხვ.

## ძ

**ძაან** ძალიან, ძლიერ.

**ძანძაყი** ავდრიანობა გაზაფხულ-შემოდგომაზედ.

**ძაღლთ ოდენა** მრავალი.

**ძგიდე** სართული.

**ძელქვა** ხეა (შექმ. თ. 30, მ. 37).

**ძერაობა** საბავშვო თამაშობაა.

**ძირკვი** ხის ფესვები.

**ძიძგილი** ქათმების ჩხუბი.

**ძიძგი-ძიძგი** ქათმების წაქეზება ჩხუბის დროს.

**ძიძიბები** წვრილი მუწუკები, აბურცულები.

## წ

**წ**—ამ ხმას ბავშვები ჩაურთავენ სიტყვის ყველა მარცვლის შემდეგ წინა ხმოვანი ასოს მიმატებით: შე**წე**ნა**წა** (შენა), ქუ**წუ**დი**წი** (ქუდი), ა**წა**ბა**წა**ნო**წო** (აბანო) და სხვ. კა**წა**ნკე**წე**ლი**წი** (კანკელი); თუ სიტყვა უხმო ასოზედ ბოლოვდება, მაშინ ის უხმო ასოც მიემატება, მაგ. მი**წი**ყვა**წა**რხა**წა**რ = მიყვარხარ; მო**წო**ვა**წა**ლ = მოვალ: შე**წე**ნთა**წა**ნ=შენთან; ა**წა**რჩი**წი**ლ=არჩილ; ორი უხმო ემატება: ვა**წა**ხტა**წა**ნგ=ვახტანგ.

**წაგზება** დაგძელება, წაგძელება.

**წაკულაკი** მწვანე ნუში.

**წალიკა** ბალახია, თუ დაჩეჩქვილი დაიდო ფეხზედ, კანს აახურცებს.

**წამგზავრება** გამგზავრება.

**წანაშვა, წანაშული** წალამვა, წალამული.

**წანდილი** ხორბლის შეჭამანდი.

**წაპწა** ყურძნის კურკები.

**წაწლობა** ფშავლებში ქალ-ვაჟების ტროფიალი.

**წედა** გამომწვარი შირიმის ქვა, რომლითაც მჭედლისის განიერი თადები გადაჭყამთ.

**წეროს თოვლი** უკანასკნელი თოვლი წეროების მოსვლის წინათ.

**წვერი ღვინისა** პირს რომ მუშხამს.

**წვრეტა, გამოწრუტა**

**წია, წიაწია** წიწილა.

**წიალი** თრევა, ტარება.

**წითელი პარასკები** ვნების კვირის პარასკები.

**წინამო მაწაკი** კავები, ფასადი.

**წიოწობა** ვინც თამაშობას წააგებს იმას სირბილით ამოუსუნთქებლივ ათქმევინებენ **ოწიო** და **ვიწიოწო**.

**წიპრანა** პატარა ჩიტია.

**წკაპანი**

**წოპწოპა** წვეტიანი.

**წოწიალი** უთავბოლოთ სიარული.

**წოწოქა** ჭრიანტელი.

**წმახვნა** გლესა, თავს გლებს, ტროფიალებს.

**წრუბელა** ურმის უბეს აკრავს ღერძთან.

**წრუტვა, გამოწრუტა, გამოწრუტვა** ძირამდის დალევა.

**წუწიანი** თვალ-ცრემლიანი.

**წუწურაქი** კრიყანგი, ღუნწი.

## ჭ

**ჭადა** თხილის ყვავილი.

**ჭანჭლები** ყვერები.

**ჭახა-ჭუხი**

**ჭრაჭაჭრუჭი**

**ჭერეხი**

**ჭი** თანხმობაა, ზოგჯერ იხმარება

კითხვაში: შენი ქალი მივა ჭი სადარზედ?

**ჭინქა***) ავი, მავნე, ალი. [ბმ.

**ჭიჭინა** მომბეზრებელი მოლაპარა-

**ჭრიანტელა** ტყემლის წყასგან და მწვანილებისგან გაკეთებული მჟავე წვნიანი.

**ჭრიხვი** მართვე შინაურთა ფრინველთა მოვარიებული.

**ჭუკი** ინდაურის წიწილა.

**ჭუკჭუკი** დაბალის ხმით საუბარი

**ჭულვა** ფსმა.

**ჭუჭუნა** საქონლის ჭირი.

**ჭყუტა** უხეირო, მჟავე ხილი.

**ხ**

**ხაბაკი** ბარგი. [ხახვით.

**ხავიწი** ფქვილის ფაფა ქონით და

**ხათა** ხათაბალა, განსაცდელი.

**ხაკა** ფხვნილი ნახშირი, ნახშირის ნაგავი.

**ხალთა** ტომარა გუდისა**).

**ხაო** საქონლის ავადმყოფობა, რომელიც პირში ეკლებისავით გამოაყრის.

**ხარალი** ხის ქერქი, რომლითაც ვაზს ახვევენ.

**ხარჩო** მჟავე წვნიანი ხორცისა ანუ ფრინველისა ღომით.

**ხასხასი**

**ხაშალი ხე** გულ დამპალი ხე.

**ხაჭილა** ჭრელი ტანსაცმელი.

**ხევა** ხევში მიმდინარე წყალი, ხევის მდინარე.

**ხელად** ამ წამს, ეხლავე.

**ხელკუდი** გუთნის ნაწილი, რომელზედაც ხელი უვლიათ.

**ხელის მიწვდენა** შემწეობის მიცემა.

**ხენჭოფო** კიბოს მაგარი ზურგი ანუ კანი.

**ხეპრე** გაუთლელი, უჭკუო.

**ხეტიალი** უთავბოლოდ სიარული.

**ხეში, ხეშის სარტყელი** ტილოს სარტყელი.

**ხვართქლა** ბალახის თეთრ ყვავილებიანი.

**ხვიანდაგი** წვრილად დახეული თხელი ტყავი, ტყავის ძაფი.

**ხვრეპა** хлебать

**ხვრიშა** მსხვილად დაფქული მარილი.

**ხითხითი** სიცილი.

**ხირია** ყრია, გდია.

---

*) გურულათ ჭინკა. რედ.

**) გურიაში ხალთა ბეწვიანი ტყავის არის, წინეთ ავდარში კაჟიან თოფს ჩამოაცმიდენ ჩახმახისკენ, კარგს დარში უკან ჩამოიკიდებდენ გურულს ტანისამოსზე კუდივით. ეხლა ხალთას აღარ ატარებენ, მაგრამ ხშირათ იტყვიან: ხელი ხალთას! ესე იგი არ გაბედო და არ შეეხო ჩემს ხალთას, ჩემს საგანს, ჩემს ნივთს, ჩემს პირადობას. რედ.

**ხისტაკი** ირიბი ჩაგდებული ნაჭერი.

**ხიჩატელს არა აბია რა** ხილს არა ასხია, უხილობაა.

**ხიჩი-ხიჩი** ყელის გამოჭრა, დაკვლა.

**ხიწიწი** დუმის და ღორის სისუქნის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნახრაკები.

**ხიხია** ფინთი, განავალი.

**ხოკერი** *) ბალმწარას ქერქისგან გაკეთებული სახილე.

**ხორსი** ჩახმახის მოსაშლელი.

**ხოტბო** ნაგავ ნარევი (ხარჯიანი) ხორბალი.

**ხოჭიჭი**—რაზედაც ბავშვს დააწვენენ სანამ აკვანში ჩააწვენენ.

**ხრწილი**

**ხუობა** უცხოობა, წყენა.

**ხურგი** გროვა გამოყრილი სარისა.

**ხუსტარი** წერილი.

**ხუსხუსი** მცირე სირბილი, მოკლე ნაბიჯით. [რანდა.

**ხუშტარა** (თუ **ხუსტარა**?) პატარა

**ხუხულა** პატარა ქოხი.

## ჯ

**ჯაათი** ჯიბრი.

**ჯავახოსი** ძე მცხეთოს გმირისა (ქ.-ცხ. I, გვ. 20).

**ჯალლი** ცხავში დარჩენილი გაულეწავი თავ-თავები.

**ფამფილა** რკოს ბუდე.

**ჯანლი** ნისლი.

**ჯარფუზანა** მხიარულობა, აინუნში არაფრის ჩაგდება.

**ჯაურა** პატარა ძირი თივა.

**ჯაქი** შამანი.

**ჯაყვა** პატარა დანა.

**ჯეელი** ახალგაზდა.

**ჯიდა** ხიშტი, შუბი ოროფისა.

**ჯიკა** ახალი ყველის ფაფა.

**ჯირკუტანა** კუნძი, დაბალი და სქელი კაცი.

**ჯიქა** ძალიან დაქანებული დაღმარ-

**ჯიქი** ცური. [თი.

**ჯლოყინი** ჯლოყინით კითხვა, ლაპარაკი.

**ჯორცხენა** კერძო ვირი.

**ჯოჩი** ჯოხი.

**ჯუგამი** მუნათი, ყვედრება.

**ჯუკუტი, კუტი-კუტი** — კრუხს უძახიან ხოლმე.

**ჯურდანი** ქისა ფულის შესანახი.

**ჯუჯულა** ქათამი.

## ჰ

**ჰაი-ჰარად** საჩქაროდ, როგორმე,

**ჰამ** — გიგბენ, გიგინამ.

**ჰამრობა** путешествіе по мы-

**ჰოოდე** დიახ. [тарствамъ.

**ჰოპუნა** მკის სიმღერა.

**ჰოროველა** გუთნის სიმღერა.

---

*) გურულათ ხოკერა, ხოკერაჲ. რედ.

TIPO-LITOGRAFIA REBESCHINI
DI TURATI E C.
OFFICINA CARTE VALORI
MILANO

413
ა 545

„ძველი საქართველო"
ტ. II. 1911-1913 წ.